

საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების ჩემული ხედვა ემყარება რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპსა და გამოწვევას:

- საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულება
- მაღალი ჟურნალისტური სტანდარტის დამკვიდრება
- ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გამოწვევებთან გამკლავება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა
- ორგანიზაციის განვითარება/ინფრასტრუქტურული პრობლემები

რა არის ის ძირითადი და აუცილებელი, რაც მაუწყებელს „შეუცვლელს“ გახდის?!

საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულება

- საზოგადოებრივი აზრის კვლევა/საჭიროებების გაგება
- საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირება/საზოგადოებაზე გავლენის შეფასება
- რეგულაციებზე დაფუძნებული ღირებულებების დაცვა/განვრცობა
- კონტენტით და სერვისით საზოგადოების განვითარების პროცესის ხელშეწყობა

საჯარო დებატების აქტიური კონტრიბუტორი

- საზოგადოებისთვის ბენეფიტის მომტანი დღის წესრიგის განსაზღვრა
- საზოგადოებრივი კამპანიების დაგეგმვა/განხორციელება
- საჯარო დებატებისთვის სივრცის შექმნა
- უკუკავშირის გათვალისწინება

მედია გავლენის მოხდენა საზოგადოებაზე

- ხარისხიანი პროდუქტის შექმნა
- მიწოდებისა და წვდომის უზრუნველყოფა
- მუდმივი პროაქტიურობა

მაღალი ჟურნალისტური სტანდარტის დამკვიდრება

- **სარედაქციო გზამკვლევები** - საჭიროა მაუწყებელმა შექმნას სარედაქციო სახელმძღვანელოები (ე.წ. გაიდლაინები), რომლებშიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით გაწერილი იქნება სარედაქციო და ჟურნალისტური საქმიანობის სტანდარტები. ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.
- **რეგიონული/საერთაშორისო ბიუროები** - მაღალი ჟურნალისტური სტანდარტის დამკვიდრებისთვის საჭიროა საქართველოს ყველა რეგიონში მძლავრი რეგიონული

ბიუროების შექმნა. ასევე აუცილებელია საერთაშორისო ბიუროების დამატება (არსებული ბრიუსელის ბიუროს გარდა).

- **უმცირესობები** - საქართველოში მცხოვრები უმცირესობების ხმა სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ჩვენს პროდუქციაში. უმცირესობების საკითხები უნდა გამოუქდეს სხვადასხვა სეგმენტში - ახალ ამბებში, თოქ-შოუებში.

ტექნიკური და ტექნოლოგიური გამოწვევები

- **დაფარვა** - მოსახლეობას უჩნდება კითხვები საზოგადოებრივის ტელეპროგრამებზე წვდომასთან დაკავშირებით. მოქალაქეთა სეთ ტოპ ბოქსის პირველ არხებად ჩნდება ის არხები, რომლებიც ნუმერაციის პირველი ციფრებით არის დანომრილი.
- **ნუმერაცია** - ევროპული გამოცდილების მაგალითზე, არსებითია განისაზღვროს არხების ნუმერაციის რეგულირების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლის არხების ხელმისაწვდომ პოზიციაზე განთავსებას.
- **რადიოსიხშირეები** - ციფრულ მაუწყებლობაზე არ გადასულა რადიომაუწყებლობა და მისი გავრცელება ისევ გამოწვევად რჩება, ეს კი აფერხებს ეთნიკური უმცირესობებისთვის მათივე ენაზე მაუწყებლობის უზრუნველყოფას. საჭიროა ახალი გადამცემების დადგმასთან დაკავშირებით სტრატეგიის მომზადება.
- **ტექნიკური გადაიარაღება** - მოძველებული და არასრული აღჭურვილობის ტექნიკა დამაბრკოლებელი გარემოებაა. საჭიროა მომზადდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური გადაიარაღების რუკა, რომელიც მოიცავს პრობლემის აღწერას და მოგვარების ეტაპობრივ გეგმას.

ადამიანური რესურსები შეფასების სისტემა

2015 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი განახლებული ჰორიზონტალური სტრუქტურით მუშაობს. აუცილებელია შესრულების შეფასების საერთო მიდგომა, უნივერსალური ინდიკატორები, რომელიც მენეჯმენტს გაუადვილებს მუშაობის ეფექტიანობის გაზომვას. მაუწყებელს საშუალება ექნება დანერგოს მენეჯერული მართვის ელექტრონული სისტემები.

- **თიმ ბილდინგი** - ყველა საშუალებით ვეცდები ინდივიდუალური პიროვნებები და პროფესიონალური დისციპლინები ერთ მთლიან, შეუფერხებლად მომუშავე გუნდად ვაქციო. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება, ორგანიზაციაში შეიქმნას ერთიანი, ძლიერი გუნდი, ჩართულობის უპრეცედენტო მაგალითები.
- **ტრენინგები** - უზრუნველყოფ რეგულარული ტრენინგის შესაძლებლობებს თანამშრომლებისთვის შიდა სპეციალისტებისა თუ მოწვეული კონტრაქტორების დახმარებით. მივესალმები ნოვატორობას და წავახალისებ თითოეული თანამშრომლის ინიციატივას, რათა გავზარდოთ, გავამდიდროთ ჩვენი აუდიტორია.

ორგანიზაციის განვითარება

- **ინტეგრირებული ნიუსრუმი** - აუდიტორიის მიმართ საზოგადოებრივის ვალდებულებაა განავითაროს ჟურნალისტური პრაქტიკა ახალ 24/7, მულტიმედია, მრავალპლატფორმულ მედიაგარემოში.
- **ციფრული მედია/ინოვაცია** - არსებული კონკურენციისა და აუდიტორიის მოთხოვნების გაზრდის პირობებში, აუცილებელია, არ ჩამოვრჩეთ ახალ ციფრულ მოთამაშეებს; ჩემი გუნდის მთავარი გამოწვევა იქნება, მაუწყებელი იქცეს საქართველოსთვის და საერთაშორისო ბაზრებისთვის ყველაზე სანდო წყაროდ თავისი მულტიმედიური პლატფორმებით.
- **შენობა-ნაგებობა** - განვითარების პროცესში არსებითია ის შენობა-ნაგებობა, რომელშიც ორგანიზაცია ოპერირებს, რადგან სივრცითი დაგეგმარების, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მაქსიმალურად იყოს მორგებული მის მიზნებსა და ამოცანებს.
- **გარეწარმოება** - უმნიშვნელოვანესია შესრულდეს მაუწყებლობის შესახებ კანონში განსაზღვრული ვალდებულება, ეთერის არანაკლებ 25% დაეთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს.
- **არქივი** - უმნიშვნელოვანესი გამოწვევა არის არქივის დიგიტალიზაციის პროექტის განხორციელება. რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიქმნას არქივის მასალების გაციფრების პროექტი და მოიძებნოს სახსრები პროექტის განხორციელებისთვის.

დასკვნა

მოხარული ვიქნები, თუ მომეცემა შესაძლებლობა, ვუხელმძღვანელო საზოგადოებრივ მაუწყებელს და ორგანიზაციის გუნდთან ერთად ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს დაუბრუნდება ლიდერის, სანდოს, ძლიერის, საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებულის და მისი ინტერესების გამტარებელი მედიის იმიჯი.

მადლობა ყურადღებისთვის